ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

„ევროპული და შედარებითი კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა“ (ECCLAP)

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ვებინარების სერია

ვებინარი N6

სერგი გლუშჩეკნო - „ციფრულ ბაზრებზე კონკურენციის (ახლებური) რეგულირება და კონკურენციის დამცავი საკანონმდებლო ჩარჩოს განახლება ევროკავშირთან მიერთების პროცესში: რას გვასწავლის უკრაინის გამოცდილება?“

მოწვეული ექსპერტის შესახებ

სერგი გლუშჩენკო (LLM in International Competition Law, City University London) - ეროვნული ექსპერტი ევროკავშირის ციფრული რეგულირების საკითხებზე (უკრაინის ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტრო). 2024 წლიდან ჩართულია ევროკავშირი-უკრაინის მოლაპარაკებებში ციფრული კონკურენციისა და რეგულირების საკითხებზე საკანონმდებლო ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით. შედის იმ მრჩეველთა ჯგუფში, რომლებიც კონსულტაციას უწევენ უკრაინას ციფრულ ბაზრებზე კონკურენციის დაცვის კუთხით ევროკავშირის სტანდარტებს გათანაბრებული კანონმდებლობის შემუშავებაზე. 2014 წლიდან არის უკრაინაში დაარსებული გლობალური იურიდიული ფირმის - Asters - წამყვანი იურისტი კონკურენციის სამართლის მიმართულებით.

ვებინარის შესახებ

ევროკავშირთან მიერთების მოლაპარაკებების დაწყების შემდგომ, უკრაინას (ციფრული) კონკურენციის სამართლის მიმართულებით უწევს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით. ევროკავშირში, ამ მიმართულებას ორი პარალელური და შემავსებელი საკანონმდებლო რეჟიმი არეგულირებს - კონკურენციის სამართლებრივი ნორმები და ციფრული რეგულირება (მაგალითად, ე.წ. ციფრული ბაზრების აქტი - DMA). ხსენებული ციფრული რეგულირება საკმაოდ კომპლექსურია და რთული დასანერგია თავად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებშიც. რა პროცესს გადის უკრაინა ეროვნული კანონმდებლობის ხსენებულ რეგულირებასთან ჰარმონიზაციის პროცესში? რა კუთხით შეიძლება უკრაინის გამოცდილების საქართველოში გამოყენება? ვებინარი სწორედ ამ საკითხების განხილვას დაეთმობა.

ვებინარზე დარეგისტრირება შესაძლებელია შემდეგ ლინკზე:
https://forms.gle/k1zqy1zwMCGNFoXH7

დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. N3
თბილისი
0179
საქართველო

ECCLAP კონტაქტი: ლიანა ჯაფარიძე
ელ-ფოსტა: liana.japaridze@tsu.ge
https://www.linkedin.com/in/liana-japaridze-94b71824/